პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 24 (3508) | 4 თებერვალი, 1968 წ. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# 2 დღის შემდეგ

## ჩვენი ოლიმპიელები გაემგზავრნენ გრენობლს

Xes JEUX OLYMPIQUES D'HIVER GRENOBLE 1968

სულ რაღაც 2 დღე და გრენობლში საზეიმო ვითარებაში აღიმართება ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ალამი. უკვე გაირკვა ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილე საბჭოთა ოლიმპიელების სახელები. ჩვენები უკვე გაემგზავრნენ გრენობლს. ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდში შევიდნენ უძლიერესი სპორტსმენები — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, აგრეთვე, დ ე ბ ი უ ტ ა ნ ტ ე ბ ი. სათხილამურო რბოლებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს ოლიმპიადის ფავორიტებად თვლიან. ეს ასეც არის. საბჭოთა სპორტი უნდა ასახელონ რ. აჩკინამ, ა. კოლჩინამ, ა. აკენტიევმა, ი. ვორონჩიხინმა და სხვ.

წარმატებას ველით ფიგურული სრიალის ჩვენი ოსტატებისგან, რომელთაც სათავეში უდგანან სახელმოხვეჭილი მოციგურავეები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი. თავს არც ზამთრისა და სათხილამურო ორჭიდის ოსტატები შეირცხვენენ, რადგან ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია უძლიერესი მოთხილამურეებით. ესენი არიან: ვ. მამატოვი, ნ. პუზანოვი, ვ. დრიაგინი, ე. ლოგინოვი და სხვები. ჩვენს მოციგურავეებს კარგად იცნობს მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა, საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ უკვე სახელმოხვეჭილი სპორტსმენები ლ. სკობლიკოვა, ი. ეგოროვა, ლ. კაუნისტე, ა. ანტსონი, ე. გრიშინი, ე. მატუსევიჩი.

„ლელოს“ მკითხველებს ალბათ აინტერესებთ, მოხვდა თუ არა ოლიმპიურ გუნდში წინა 3 ოლიმპიადის მონაწილე, ბაკურიანელი კ. წაქაძე. კობა ამჯერად არ გამოვა გრენობლის ტრამპლინზე. სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში იასპარეზებენ ვ. ბელოუსოვი, ა. ქეგლანოვი, გ. ნაპალკოვი და ვ. სმირნოვი.

ოლიმპიური თამაშები დიდებული და დაუვიწყარი სპორტული დღესასწაულია, რომლის პირველი აქტი თამაშების საზეიმო გახსნამდე დიდი ხნით ადრე იწყება. ბერძენი ქალიშვილები ოლიმპოს მთაზე ანთებენ „ღვთაებრივ ცეცხლს“ — ოლიმპიადის სიმბოლოს, რომელმაც უნდა გადალახოს მთები და ველები, ზღვები და მდინარეები და საზეიმო ვითარებაში ჩააღწიოს თამაშების ქალაქს.

ოლიმპიური ცეცხლის მსვლელობაში მონაწილეობენ სხვადასხვა ფერის, ეროვნების, რწმენის სპორტსმენები და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ ამ კეთილშობილური ზეიმის ინტერნაციონალურსა და ჰუმანურ ხასიათს.



სურათზე აღბეჭდილია ოლიმპიური ცეცხლის საწყლოსნო მარშრუტი საფრანგეთის მიწაზე და მეჩირალდნე, ამ ქვეყნის ჩემპიონი წყლის თხილამურებით რბოლაში ი. მ. მილერი.

ფოტო „სპორტოვეცისა“ (პოლონეთი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დაუმარცხებლად...

რიგა, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის მატჩები.

აი, ბოლო ორი ტურის შედეგები: სპი (თბილისი) — ტტტ (რიგა) 51:61, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 60:56, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) 61:48, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 55:53, „დინამო“ (მოსკოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 54:40, ასკ (ლენინგრადი) „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 62:53.

სპი — „ტექსტილმაში“ 77:74, ტტტ — „სპარტაკი“ 73:40, „ბურევესტნიკი“ — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 46:42, ასკ — „დინამო“ (კიევი) 53:48, „დინამო“ (მოსკოვი) — „პოლიტექნიკა“ 61:40, „კიბირკშტისი“ — „ურალმაში“ 63:50.

### I წრის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 11 | 11 | 0 | 748—518 | 11 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) | 11 | 9 | 2 | 664—620 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 11 | 8 | 3 | 600—571 | 8 |
| „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) | 11 | 7 | 4 | 653—572 | 7 |
| სპი (თბილისი) | 11 | 6 | 5 | 684—666 | 6 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 11 | 6 | 5 | 624—628 | 6 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 6 | 665—614 | 5 |
| „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) | 11 | 4 | 7 | 586—688 | 4 |
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 3 | 8 | 586—648 | 3 |
| „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) | 11 | 3 | 8 | 577—768 | 3 |
| ასკ (ლენინგრადი) | 11 | 2 | 9 | 575—650 | 2 |
| „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) | 11 | 2 | 9 | 590—668 | 2 |




◆ დავოსი, 3 თებერვალი. შვეიცარიის ამ ქალაქში გამართულ მოციგურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ტ. სიდოროვამ 500 მეტრის გარბენას 44,7 წამი მოანდომა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია და 0,2 წამით სჯობს 6 წლის წინათ ი. არტამონოვას მიერ ნაჩვენებ მიღწევას.

# სპორტული სეზონი დაიწყო

ბაკურიანი, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სტუდენტთა არდადეგების დღეებში ბაკურიანს ბევრი სტუმარი ჰყავს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს მათი ორგანიზებული დასვენებისთვის ზრუნვა მხედველობიდან არ გამორჩენია და სტუდენტ-მოთხილამურეთა პირად-გუნდური შეჯიბრების გამართვა განიზრახა. გუნდები გამოიყვანეს თბილისის უნივერსიტეტმა, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიურმა და სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა. პირად შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება კი ყველა მსურველ სტუდენტ-მოთხილამურეს მისცეს.

მორბენლები და სამთომოთხილამურეები ერთდროულად ჩაებნენ ტურნირში. სტარტზე წარმატებას მიიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელებმა, ძმებმა იოსებ და იაგორ ნასყიდაშვილებმა. იოსებმა სპეციალურ სლალომში ისახელა თავი — 150-მეტრიან ტრასაზე (48 კარი) ორი ცდით ყველაზე ნაკლები დრო (54,8 წამი) დახარჯა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი ბ. კახიანი გამარჯვებულს 1,5 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა შ. კოზანაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 56,9.

იაგორ ნასყიდაშვილმა 15 კილომეტრზე იასპარეზა და ძირითადად თანაგუნდელებთან — ვ. კორენკოვთან და ა. გორბაჩოვთან ბრძოლაში შეძლო პირველობის დასაკუთრება. მან დისტანცია 55 წუთსა და 1 წამში დაფარა, კორენკოვი 16 წამის შემდეგ მივიდა ფინიშთან. გორბაჩოვის დროა 56,50,0.

ქალთა შეჯიბრების მონაწილეთა ძალები უფრო უთანაბრო იყო. მაგალითად, ნ. ბალაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) 4 წუთითა და 26 წამით აჯობა თანაგუნდელ ს. მიაჩკოვას, რომელიც II ადგილზე გავიდა (55 წუთი), ხოლო III პრიზიორმა ვ. არუთინიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) 10 კილომეტრის გარბენას 59 წუთი და 39 წამი მოანდომა.

ქალთა სპეციალურ სლალომში ყველას მოუგო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრმა მ. თვაურმა—1.08,4. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, სპორტის ოსტატები ნ. ფალიანი და ზ. გავა II და III ადგილებზე გავიდნენ — 1.14,5 და 1.17,0.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. მიქაბერიძე.

# სტუდენტთა საკავშირო

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში დაიწყო „ბურევესტნიკის“ წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრება სტუდენტთა ზამთრის არდადეგების პრიზზე.

ასპარეზობენ 11 ქალაქის წარმომადგენლები, რომლებიც 3 ჯგუფად არიან დაყოფილი. გუნდები ასე განაწილდნენ: I — ლენინგრადი, ტაშკენტი, ვოლგოგრადი; II — ალმა-ათა, მინსკი, თბილისი, ლვოვი; III — კიევი, პერმი, მოსკოვი, ფრუნზე. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები ფინალში შევლენ, ხოლო დანარჩენები VII-XII ადგილებისთვის იბრძოლებენ. ჯგუფებში ჩატარებული მატჩების შედეგები გუნდებს ფინალში ეთვლებათ.

შეჯიბრებისადმი ინტერესი მით უფრო დიდია, რომ მოსკოვის, ტაშკენტის, მინსკისა და თბილისის გუნდები უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები არიან, ხოლო დედაქალაქის უნივერსიტეტის წყალბურთელები სსრ კავშირის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტები.

შეჯიბრება ვოლგოგრადისა და ტაშკენტის გუნდების მატჩით დაიწყო. ტაშკენტელთა უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო და ეს ანგარიშსაც დაეტყო. დამარცხებულებმა ერთადერთი ბურთი 4-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანეს და თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით წაგებას. 8:1 ტაშკენტელთა სასარგებლოდ.

ალმა-ათისა და ლვოვის გუნდების მატჩში ანგარიში დიდხანს საყაიმო იყო. შეხვედრის დამთავრებას წამები აკლდა, როცა ლვოველებმა შეძლეს გადამწყვეტი გოლის გატანა — 4:3.

კიევისა და ფრუნზეს კოლექტივების მატჩში ინიციატივას თავიდანვე უკრაინელები დაეუფლნენ და გაიმარჯვეს კიდეც — 4:1. აღსანიშნავია, რომ დამარცხებულებმა აქაც ერთადერთი ბურთი 4-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანეს.

ა. ცეხანელი.

# გუშინ...

საღამოს შედგა ჯგუფის მთავარი ფავორიტების — თბილისისა და მინსკის გუნდების მატჩი. საინტერესო ბრძოლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 4:3. მოსკოვის გუნდმა დაამარცხა პერმელები — 10:1.

# „ენძელას“ თასზე

ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი საფეხბურთო კლუბების სეზონისწინა გათამაშება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე, რომელსაც „ენძელას“ თასი ეწოდა. გათამაშება მიზნად ისახავს ჩვენი საუკეთესო გუნდების მზადებას სსრ კავშირის ჩემპიონატის, თასის გათამაშებისა და სხვა შეჯიბრებებისთვის.

„ენძელას“ წლევანდელ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდები (ძირითადი შემადგენლობანი) და II ჯგუფის რამდენიმე კოლექტივი. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. გათამაშება გასტანს 18 თებერვლიდან 15 მარტამდე, ხოლო ფინალური შეხვედრები ჩატარდება 19-27 მარტს.

თვითეულ ქვეჯგუფში გაერთიანებულია 6 გუნდი.

I ქვეჯგუფი: „დინამო“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (დონეცკი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „კაირატი“ (ალმა-ათა), „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „პოლიტოტდელი“ (ტაშკენტის ოლქი). თამაშები ჩატარდება ტაშკენტში, სამარყანდში, ჩიმკენტსა და დუშანბეში.

II ქვეჯგუფი: „სპარტაკი“ (მოსკოვი), ასკ (როსტოვი), „არარატი“ (ერევანი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ყუბანი“ (კრასნოდარი). თამაშები ჩატარდება ტუაფსეში, ადლერსა და კრასნოდარში.

III ქვეჯგუფი: „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „ტორპედო“ (მოსკოვი). თამაშები გაიმართება სოჭში, ქუთაისში, ოჩამჩირეში, გაგრაში, ლესელიძესა და ხოსტაში.

IV ქვეჯგუფი: „ნეფტიანიკი“ (ბაქო), ცსკა, „ზარია“ (ლუგანსკი), „დინამო“ (კიროვაბადი), „მეშახტე“ (ტყიბული), „დინამო“ (ბათუმი). თამაშები ჩატარდება ბაქოში, კიროვაბადში, ბათუმში, სოხუმსა და ოჩამჩირეში.

თამაშები ქვეჯგუფებში მოეწყობა I წრედ. ფინალურ შეჯიბრებაში დაიშვება ქვეჯგუფებში გამარჯვებული 4 გუნდი, რის შემდეგ I ქვეჯგუფში გამარჯვებული შეხვდება III ქვეჯგუფში გამარჯვებულს, ხოლო II ქვეჯგუფში გამარჯვებული — IV ქვეჯგუფში გამარჯვებულს. მოგებული გუნდები ერთმანეთს შორის გაითამაშებენ საპატიო პრიზს, ხოლო დამარცხებულნი იბრძოლებენ III ადგილისათვის.

თუ ფინალური ჯგუფის შეხვედრები დამთავრდება ფრედ დამატებითი დროის ჩათვლით, გამარჯვებულის საკითხს გამოავლენს თვითეულ კარში დარტყმული 5-5 პენალტი. თამაშების მსვლელობაში ნებადართულია მეკარისა და მინდვრის 4 მოთამაშის შეცვლა.

გუნდი, რომელიც დაიკავებს I ადგილს, დაჯილდოვდება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გარდამავალი პრიზით.

### თამაშების კალენდარი III ჯგუფისთვის

18 თებერვალი. გაგრა. „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), ლესელიძე. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიევი).

19 თებერვალი. გაგრა. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

25 თებერვალი. ხოსტა. „დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). გაგრა. „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). ლესელიძე. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

3 მარტი. გაგრა. „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). ხოსტა. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). ლესელიძე. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი).

8 მარტი. ლესელიძე. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). გაგრა. „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი).

9 მარტი. ოჩამჩირე. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

15 მარტი. ხოსტა. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). ქუთაისი. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი). სოჭი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).

ჭადრაკი

# სტუმრად გეტებორგში

„ლელოს“ ინტერვიუ

„ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა შვეციიდან დაბრუნებულ ნონა გაფრინდაშვილს და შთაბეჭდილებათა გაზიარება სთხოვა მას.

— შვეციაში, როგორც ინგლისსა და ჰოლანდიაში, კარგა ხანია დამკვიდრდა ვაჟთა საახალწლო საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ტრადიცია, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა — წინა წლებში ჰასტინგსისა და ბევერვეიკის ტურნირებში ვმონაწილეობდი, ამჯერად კი სიამოვნებით მივიღე შვეციის ჭადრაკის ფედერაციის მიწვევა გეტებორგის ვაჟთა საახალწლო ტურნირში სათამაშოდ.

პირველად ამ ქვეყანაში შარშან იანვარში გავლდით. მაშინ ერთდროული თამაშის სეანსებში შევხვდი ჭადრაკის მოყვარულებს. ამ მოგზაურობიდან ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიდე-ს პრეზიდენტის ფ. როგარდის ოჯახში სტუმრობა იყო.

გეტებორგი ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე მდებარე მოზრდილი საპორტო ქალაქია. წლეულს იქ უჩვეულოდ სუსხიანი ზამთარი იდგა, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი სტუმართმოყვარე მასპინძლებისთვის, რომ გულთბილად შეგვხვედროდნენ.

საახალწლო ტურნირების ტრადიციისამებრ, გეტებორგშიც 5 უცხოელი და ამდენივე შვედი მოჭადრაკე მოიწვიეს. სტუმრები გახლდით: მე და ჩვენი დიდოსტატი ე. გელერი, ჩეხოსლოვაკიელი ე. იანსა, უნგრელი ბელა შანდორი და ფინელი ხ. ვესტერინენი, მასპინძლები — რ. მარტენსი, ს. მალმგრენი, ო. კინმარკი, შ. ნილსონი და ჰ. ეკი.

არ დარღვეულა არც ტურნირის ჩატარების ტრადიციული ვადა: თამაში 1967 წლის 26 დეკემბერს დავიწყეთ და 4 იანვარს დავამთავრეთ.

შვედების საახალწლო ტურნირს ერთი თავისებურება მაინც აქვს: იგი ჭადრაკის დიდი ენთუზიასტის ე. ოლსონის ხსოვნას ეძღვნება. ე. ოლსონი, რომელიც შარშანწინ 80 წლისა გარდაიცვალა, ჭადრაკის უანგარო მეცენატი ყოფილა. ლუდის ქარხნების მეპატრონე გატაცებული იყო ჭადრაკის კომპლექტების შეგროვებით და კიდეც მოუყრია თავი უმდიდრესი კოლექციისთვის. ჩვენი ტურნირის დაწყება მისი ექსპონატების მუზეუმის გახსნას დაემთხვა. შვეციის ჭადრაკის ფედერაცია დიდად დავალებულია ე. ოლსონისგან და მისი მემორიალი მეცენატის მიმართ პატივისცემის თავისებური გამოხატულებაა.

ტურნირის გახსნას დაესწრო ფ. როგარდი. ბრძოლა მისი „თამადობით“ დავიწყეთ. თამაშის შედეგები აქ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. მოვიგონებ მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს.

რა თქმა უნდა, გელერისთვის ეს ტურნირი სასიამოვნო გახლდათ. მართალია, მეტოქეებად საკმაოდ ძლიერი და მზარდი საერთაშორისო ოსტატები ჰყავდა, მაგრამ ისინი უფრო იოლი დასამარცხებელი იყვნენ, ვიდრე ტუნისის საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი.

გელერი ყველასთან ერთნაირი მონდომებით იბრძოდა. აი, მაგალითად, როგორ წარიმართა ჩვენი შეხვედრა:

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 მc6 6. d3 g6 7. მbd2 კg7 8. a3 მf6 9. ეb1 0—0 10. b4 b6 11. კb2 e5 12. bc bc 13. მc4 ეab8 14. კc3 მh5 15. ე:b8 ე:b8 16. კd2 h6 17. კe3 მფh7 18. მfd2 მd4 19. მb1 d5 20. ed ლ:d5 21. კ:d4 cd 22. მbd2 მf4 23. ლf3 ლ:f3 24. მ:f3 მe2+ 25. მფh1 f6 26. ეe1 მc3 27. მfd2 h5 28. g3 მd5 29. მb3 g5 30. მფg2 მფg6 31. მbd2 g4 32. h3 მc3 33. hg hg 34. მe4 მd5 35. მed2 კh6 36. მb3 მc3 37. მc5 კf8 38. მe4 მd5 39. მed2 მc3 40. ეh1 კh6 41. მb3. პარტია გადაიდო. შემდეგ ყაიმზე შევთანხმდით.

— საინტერესო პარტია გამოვიდა, მაგრამ შავებით მეორედ მიხდება ამ სისტემის წინააღმდეგ თამაში. პირველად იგი გურგენიძემ გამოიყენა, — მითხრა გელერმა.

ალბათ ბევრს გაუკვირდა მარტენსის წარმატება. მან ღირსეულად დაიმსახურა II პრიზი, თამამად, შემტევ სტილში თამაშობდა. როგორც ჩანს, მასპინძლები უსაფუძვლოდ როდი ამყარებდნენ იმედებს თავიანთ ჩემპიონზე, რომელიც მხოლოდ 25 წლისაა.

მარტენსი გაურბის პოზიციებს, სადაც დაცვაა საჭირო. ჯერჯერობით ახალგაზრდა მოჭადრაკეს ეს ეპატიება, მაგრამ დაცვის უგულებელყოფა შეიძლება მისი შემოქმედებითი წინსვლის მუხრუჭად იქცეს.

ჩვენს შეხვედრაში ასეთი ვითარება შეიქმნა:

გაფრინდაშვილი



მარტენსი

შავებმა ჯერ კიდევ დებიუტში პაიკი შეწირეს ამ აქტიური პოზიციის მისაღებად. შვედ ოსტატს არ ეპატიება მუქარის მოგერიება და თამაშის გართულება.

21. მa4 მ:d5 22. კd2.

ეს სვლა შავებს მახვილის გალებისკენ უბიძგებს. რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა 22. eb ე:f4-ის გამო.

22. ... ე:a4 23. ba მb4 24. კ:b4 ლ:b4 25. ეc4 ლb7 26. e5.

მარტენსს არ მოსწონს თავისი პოზიცია, თუმცა მატერიალური უპირატესობა აქვს. მეთოდური თამაში არ უყვარს და იგი სწრაფად განმუხტავს შექმნილ დაძაბულობას.

26. ... მe5 27. მ:e5 კ:e5 28. ე:c5 dc 29. ლ:e5 ე:a4 30. ე:c5. ყაიმი.

ტურნირში ბევრი ნაცნობი მოჭადრაკე მონაწილეობდა. მაგალითად, იანსა და კინმარკი. ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი ორჯერაა ჩვენში ნამყოფი. იგი საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეა, მაგრამ ამჯერად მთლიანად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობა.

ოვე კინმარკი ჰასტინგსის საახალწლო ჩელენჯერ-ტურნირში გავიცანი 1963 წელს. იგი ზრდილი ახალგაზრდა და საკმაოდ ნიჭიერი მოჭადრაკეა. კინმარკს ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაშიც უთამაშია. სხვათა შორის, ჰასტინგსში ოვე პირველობაში მეტოქეობას მიწევდა. საბოლოოდ მან მიზანს მიაღწია. მომიგო პარტია და I ადგილში შემეცილა. მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილმა მას მხოლოდ II ადგილი მიანიჭა.

რა დასამალია, რევანში მწყუროდა. თავიდანვე განვეწყვე პოზიციური ბრძოლისთვის, რაც კინმარკს უყვარს.

გაფრინდაშვილი — კინმარკი

1. e4 c5 2. მf3 e6 3. მc3 მc6 4. კb5 მd4 5. 0—0 a6 6. კe2 d6 7. d3 მe7 8. კg5 h6 9. კh4 g5 10. კg3 კg7 11. მd2.

კინმარკმა ორიგინალურად გაითამაშა სიცილიური დაცვა. შავების სისუსტის გამოყენება, მხოლოდ გახსნილი თამაშის დროს შეიძლება, მაგრამ შვედი ოსტატი ფხიზლად ავითარებს ფიგურებს. სამაგიეროდ, იგრძნობა შავი მეფის ფრთის სისუსტე, რომლის რეალიზება დიდ დროს მოითხოვს.

11. ... e5 12. მc4 კe6 13. კh5 მb5 14. მe3 მ:c3 15. bc 0—0 16. c4 b5.

მაშინ, როცა თეთრები ეძებენ მეფის ფრთის სისუსტის გამოყენების გზას, შავები გარღვევას ამზადებენ ლაზიერის ფრთაზე.

17. კg4 ლd7 18. h3 ეfb8 19. ეb1 ეb7 20. ლf3 ეab8 21. ეb2 b4 22. ე2b1 a5 23. კf5 მg6 24. ლg4 ლe7 25. ლh5 მf4 26. ლf3 a4 27. ლd1 ეb6 28. კh2 ე6b7 29. g3 მg6 30. ლh5 მფh7 31. მფg2 b3.

ეს სრულიად არ ამსუბუქებს კინმარკის მეფის მდგომარეობას.

32. ab ab 33. ე:b3 ე:b3 34. cb ე:b3 35. ეd1 ეb2 36. ლf3 ლb7 37. h4 მფg8 38. hg hg 39. ლh5 ლe7 40. კ:e6 ლ:e6 41. ლ:g5 მe7 42. ეa1 შავები დანებდნენ.

ეკთან, ახალგაზრდა ეროვნულ ოსტატთან, მეტის სიფხიზლით რომ მეთამაშა, ალბათ არ წავაგებდი. მაგრამ ბრძოლაში ყველაფრის გათვალისწინება არ ხერხდება. მარტენს რამდენიმე საეჭვო პოზიცია ჰქონდა, გვეგონა წააგებდა, იგი კი ქულებს აგროვებდა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შვეციის მრავალ ქალაქს ვეწვიე ერთდროული თამაშების სეანსების ჩასატარებლად. თითქმის ყველა სეანსს 25 დაფაზე ვატარებდი, ერთხელ 28 დაფაზეც ვითამაშე. ამ სეანსების შედეგები „ლელოშიც“ იყო გამოქვეყნებული.

შეჯიბრების რეგლამენტი უაღრესად მჭიდრო იყო, ამიტომ ბევრის ნახვა ვერ შევძელი. სამაგიეროდ, თან ჩამომყვა შვედი მოჭადრაკეებისა და მათი მეუღლეების გულთბილობა.

| | გვარი, ქვეყანა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | ქულები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ე. გელერი სსრ კავშირი | | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7½ | I |
| 2 | რ. მარტენსი შვეცია | 0 | | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | II |
| 3 | ნ. გაფრინდაშვილი სსრკ | ½ | ½ | | 1 | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 6 | III |
| 4 | ო. კინმარკი შვეცია | ½ | ½ | 0 | | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 5½ | IV |
| 5 | ჟ. იანსა ჩეხოსლოვაკია | ½ | 0 | ½ | 1 | | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | 4½ | V |
| 6 | ხ. ვესტერინენი ფინეთი | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | | ½ | ½ | 1 | 0 | 3½ | VI-VII |
| 7 | ჰ. ეკი შვეცია | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | | 0 | ½ | 1 | 3½ | VI-VII |
| 8 | ბ. შანდორი უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | | ½ | 1 | 3 | VIII |
| 9 | შ. ნილსონი შვეცია | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | | ½ | 2½ | IX |
| 10 | ს. მალმგრენი შვეცია | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | | 2 | X |

# ისევ ჯინჯიხაშვილი

ოდესა, 3 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა პირველობის VII ტურში მხოლოდ 7 შეხვედრა შედგა. თ. გიორგაძე შეუძლოდ გრძნობდა თავს და მისი პარტია ვ. ტუკმაკოვთან (ოდესა) არ გათამაშებულა.

ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) და გ. კუზმინი (ლუგანსკი) მწვავე ბრძოლის შემდეგ დაზავდნენ.

ვ. ტიმოშჩენკო (ჩელიაბინსკი) — რ. ჯინჯიხაშვილის შეხვედრაში კაროკანის დაცვა გათამაშდა. საქართველოს ჩემპიონმა პანოვის სისტემის წინააღმდეგ პეტროსიანის დაცვითი მანევრი აირჩია. მალე თამაში გაიხსნა და ჯინჯიხაშვილმა გამსვლელი პაიკი მიიღო. ტიმოშჩენკო იძულებული შეიქნა ფიგურა დაეთმო. ენდშპილში ზუსტი თამაშით ჯინჯიხაშვილმა გაიმარჯვა.

ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) მოუგო ე. სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი).

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ე. უბილავამ მ. პოდგაეცთან (ოდესა) თამაშის უსწორო გეგმა აირჩია. მან პაიკის შეწირვით სცადა საიერიშო მდგომარეობის შექმნა, მაგრამ პოდგაეცმა თითქმის ყველა ფიგურა გაცვალა და ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა. შეწყვეტილი პოზიცია უბილავასთვის არახელსაყრელია.

* * *

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც დღეს მოეწყო, პირველი წაგება იწვნია კუპრეიჩიკმა. მას სძლია პოდგაეცმა. ცუდად ითამაშეს გიორგაძემ და უბილავამ. გიორგაძემ წააგო ტუკმაკოვთან და ყაიმზე შეუთანხმდა ბალაშოვს, უბილავა დამარცხდა სვეშნიკოვსა და პოდგაეცთან.

7 ტურის შემდეგ კვლავ წინაა ჯინჯიხაშვილი — 5,5 ქულა. კუზმინსა და კუპრეიჩიკს 5-5 ქულა აქვთ.

# ფინალის საგზურებისთვის

გადახედეთ საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობის თბილისის ნახევარფინალის ცხრილს (გათამაშდა 6 ტური) და შეამჩნევთ, რომ ყაიმი იშვიათია. ეს, რა თქმა უნდა, კარგია და ჭეშმარიტ ბრძოლაზე მეტყველებს.

ყველაზე მეტად ყაიმი რუსთაველ ტ. ფერაძეს ჰყავარებია. მან 4 შეხვედრა დაასრულა ზავით. სამი ყაიმი აქვს ამბროლაურელ ა. გვენცაძეს, მაგრამ ეს „სამშვიდობო ხელშეკრულება“ მან ლიდერობისთვის ბრძოლაში მთავარ მეტოქეებს მ. არჩვაძეს (სამტრედია), გ. მუკნიაშვილსა და შ. თოთლაძეს (ორივე — გორი) დაუდო.

— მხოლოდ გამარჯვება! — აი, მონაწილეთა უმრავლესობის დევიზი და ვინც წარმატებით დაძლია მეტოქეთა წინააღმდეგობა, კიდეც ლიდერობს.

პირველი უნდა დავასახელოთ ნახევარფინალის ახალბედა არჩვაძე. მას 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. ლიდერს კვალში მიჰყვებიან სოხუმელი ლ. ზაიდშერი (4), თბილისელი გ. ციხელაშვილი, ქუთაისელი გ. ქანთარია, მუკნიაშვილი, გვენცაძე (3,5-3,5 ქულა და თითო გადადებული პარტია), თოთლაძე და ქუთაისელი ა. მიქაბერიძე (2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია).

წინაა ტურნირის მეორე ნახევარი, სადაც ფინალის ორი საგზურის მფლობელი უნდა გამოვლინდეს. საინტერესოა, რომ ფინალის მთავარი პრეტენდენტები სწორედ დასკვნით ტურებში ხვდებიან ერთმანეთს.

თ. ნინოშვილი.

# ორი ლიდერი

ცხაკაია, 2 თებერვალი, (ჩვენი სპეც. კორ.). გრძელდება საქართველოს საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი. გათამაშდა 7 ტური.

ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს — ბათუმელი გ. ჰანტურია და ქუთაისელი ა. რაზოვსკი (6,5-6,5 ქულა), რომლებსაც საგრძნობლად ჩამორჩნენ ფინალის საგზურის სხვა პრეტენდენტები: ა. ბრეიტმანი (აფხაზეთი), კ. სანიკიძე (ცხაკაია) და თ. დეკანოზიშვილი — 5-5.

ხ. გუგუნავა,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

ჭადრაკი



# კარგი თაოსნობა

ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შემდგომი აღმავლობისთვის ამ ბოლო ხანს ბევრი თვალსაჩინო ღონისძიება ჩატარდა ცხაკაიაში. მრავალი სიახლის თაოსანი სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. ჩიქობავაა.

ამას წინათ მან თავისი კიდევ ერთი ჩანაფიქრი გაგვიზიარა. ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის სამახსოვროს შექმნას და სასოფლო საბჭოებთან არსებული სპორტული კომისიების მუშაობის განზოგადებას ვაპირებთო. მაშინ ყველაფერი დასასტამბად იყო თავმოყრილი და აი, ამ დღეებში ნაბეჭდი ბროშურებიც მივიღეთ.

„სამახსოვრო“ ფიზკულტურული კოლექტივების სახელმძღვანელოა. მასში განზოგადებულია ის საკითხები, რომლებშიც ამ კოლექტივებს დახმარება უნდა გაუწიონ სხვადასხვა დაწესებულების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აქვე მოცემულია ფიზკულტურელთა დემოგრაფიული ცნობების, სექციების მუშაობის ცხრილის, ღონისძიებათა დაგეგმვა-აღრიცხვის, საბჭოს სხდომის ოქმების და სხვ. სანიმუშო სქემები, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების, მძლეოსნური სექტორებისა და ბილიკების ზომები, რჩევა-დარიგებანი.

საინტერესოა მეორე ბროშურაც, რომელშიც რაიონის სპორტღონისძიებათა კალენდარი და რაიონის სასოფლო საბჭოებთან არსებული სპორტული კომისიების შემადგენლობაა შეტანილი. ამ ბროშურაში გაშუქებულია სპორტული კომისიების უფლება-მოვალეობანი, მათი როლი და ამოცანები.

რაიონის სპორტკავშირს ცალკე ბროშურად გამოუცია სპორტღონისძიებათა დებულება, აქვეა დაბეჭდილი წინა წლებში გამართული შეჯიბრებების შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი პროგნოზები



მაშ ასე: კენჭისყრა მოხდა. მთელი სპორტული მსოფლიო ელოდა ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფების შემადგენლობებს, რომელიც კასაბლანკაში უნდა გამოვლენილიყო. ახლა ჟიულ რიმეს თასის IX გათამაშების წინასწარი ჯგუფები ცნობილია, დადგა ახალი პროგნოზებისა და წინასწარმეტყველებათა ხანა, ყოველ ფავორიტს ჰყავს სერიოზული კონკურენტები, ზოგს იღბლიანი კენჭი შეხვდა, ზოგს, პირიქით, ძნელი მეტოქეები არგუნა წილისყრამ.

საერთო დომინანტი წარმომადგენლობის მხრივ, როგორც ყოველთვის, ევროპის კონტინენტს აქვს. აქ შექმნილია შესარჩევი 8 ჯგუფი და გარდა ამისა, კიდევ ერთი ადგილი, კანონიერი, ეკუთვნით ინგლისელებს, ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონებს (მათ გარდა ფინალში მექსიკაც — ჩემპიონატის ორგანიზატორი).

აი, ვილაპარაკოთ ამ ევროპულ ჯგუფებზე, გუნდების „ურთიერთდამოკიდებულებაზე“ 1967 წლის შედეგების მიხედვით.

I ჯგუფი: პორტუგალია, შვეიცარია, რუმინეთი, საბერძნეთი. ფავორიტად, რა თქმა უნდა, უპირატესობა დაასახელებს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელს — პორტუგალიის ნაკრებს. ეს ასეა, მაგრამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პორტუგალიელები არ შეხვედრიან არც ერთს თავიანთი მომავალი მოწინააღმდეგეებიდან შესარჩევ ჯგუფში. ამ ოთხეულში სულ 2 მატჩი შედგა. რუმინელებმა ევროპის ჩემპიონატის მატჩი წააგეს შვეიცარიასთან, თანაც „ასტრონომიული“ ანგარიშით — 1:7 და დამარცხება იწვნიეს ბერძნებისგან — 1:2. აი, მთელი წინასწარი მასალა პროგნოზებისთვის.

II ჯგუფი: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, დანია. აქ გაცილებით მეტ სირთულეებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, საქმე ეხება უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძაფრ მეტოქეობას ფინალის საგზურისთვის და მასთან, სათვალავში უნდა მივიღოთ მესამე კონკურენტის — ირლანდიის ხიძლიერეც. ვის რა შანსები აქვს, ეს საკითხი საფეხბურთო წინასწარმეტყველთათვის მიგვინდია. გაგაცნობთ მხოლოდ ამ გუნდებს შორის 1967 წელს ჩატარებულ თამაშებს: ევროპის ჩემპიონატის პროგრამით უნგრელებმა დაამარცხეს დანია — 2:0, ხოლო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ირლანდიას ერთი მატჩი მოუგო (2:0), ერთიც წააგო (1:2).

III ჯგუფი: იტალია, გდრ, უელსი. შარშან ამ 3 გუნდს ერთმანეთი, როგორც იტყვიან, „თვალითაც არ უნახავთ“.

IV ჯგუფი: სსრ კავშირი, ჩრ. ირლანდია, თურქეთი. აქაც იგივე მდგომარეობაა. მოწინააღმდეგეები თითქმის არ იცნობენ ერთმანეთს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა ფეხბურთელთა 2 გამარჯვებას თურქეთის ნაკრებთან 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში (1:0 მოსკოვში და 2:1 სტამბოლში).

V ჯგუფი: საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია. საფრანგეთის ნაკრები საგრძნობლად განახლებული შემადგენლობით და ახალი ხელმძღვანელობით გამოდის, მას ახლა პერსპექტიულ გუნდს უწოდებენ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. შვეცია და ნორვეგია ამ პერსპექტივას ჯერჯერობით მოკლებული არიან. ამ ორმა მეზობელმა ქვეყანამ შარშან 2 მატჩი ითამაშა ერთმანეთთან ევროპის ჩემპიონატში — მოწინააღმდეგეებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს — შვეციამ — 5:2, ნორვეგიამ — 3:1.

VI ჯგუფი: ესპანეთი, იუგოსლავია, ბელგია, ფინეთი. ეს ძლიერი ჯგუფია. პირველ 3 გუნდს წარმატების დაახლოებით თანაბარი შანსი აქვს და გამარჯვებულის საკითხიც მათ შორის გაირკვევა. შარშან ამ გუნდებს ერთმანეთს შორის არ უთამაშიათ.

VII ჯგუფი: გფრ, შოტლანდია, ავსტრია, კვიპროსი. თამაშები მომავალ მეტოქეთა შორის არ ჩატარებულა. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორს — გფრ-ს მეტოქეობას უმთავრესად გაუწევს შოტლანდიის ძლიერი ნაკრები.

VIII ჯგუფი: ბულგარეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, ლუქსემბურგი. ევროპის ჩემპიონატში შარშან ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთი და ლუქსემბურგი. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

სამხრეთ ამერიკის კონტინენტი მუდამ აღსავსეა მოულოდნელობებით, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფინალში გასვლის უფლებას მოიპოვებენ არგენტინა, ბრაზილია და ურუგვაი. რაც შეეხება აფრიკასა და აზიას, აქაური ჯგუფების შემადგენლობანი სულ მალე იქნება ცნობილი.

# ვინ გაიმარჯვებს?

## შენიშვნები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე

ევროპის ჩემპიონატის გათამაშება პირველად ხდება, მაგრამ მას გააჩნია წინამორბედი — ევროპის თასი ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის. როცა გადაწყდა თასი კონტინენტის ჩემპიონატით შეეცვალათ, სატურნირო რეგლამენტში შედარებით უმნიშვნელო ცვლილებანი მოხდა. 8 ჯგუფად დაყოფილი პრეტენდენტები თითქმის 2 წლის განმავლობაში იბრძოდნენ წრიული სისტემით და ახლა, როცა ცნობილი გახდა ჯგუფებში გამარჯვებულთა ვინაობა, ყველაფერი წავა ნაცადი სათასო ბრძოლების გზით. კენჭისყრით გამოვლენილი პარტნიორები ერთმანეთს შორის გაითამაშებენ მეოთხედფინალებს, ხოლო შემდეგ, შუა ზაფხულიდან ნახევარფინალის 4 მონაწილე შეიკრიბება ერთ რომელიმე ქვეყანაში, სადაც გაითამაშებენ ნახევარფინალსა და ფინალს, ამასთან, მეოთხედფინალური შეხვედრები შედგება 2 მატჩისგან — საკუთარ და მოწინააღმდეგის მინდორზე — ნახევარფინალსა და ფინალში კი გათვალისწინებულია თითო მატჩი, რომელთა ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი დრო 30 წუთი.

ახლა, როცა უკვე ვიცნობთ მეოთხედფინალის წყვილებს, შეიძლება ვილაპარაკოთ მეტოქეების ძალთა შეფარდებაზე.

ყველაზე უფრო დაძაბულ ბრძოლას უნდა მოველოდეთ იმ წყვილში, სადაც საბჭოთა ნაკრებს მოწინააღმდეგედ შეხვდა უნგრეთის გუნდი. ზედმეტად მიგვაჩნია ამ მეტოქეთა 14-წლიანი ბრძოლის პერიპეტიების გახსენება. 8 შეხვედრიდან 3 მოიგო საბჭოთა გუნდმა, 1 — უნგრელებმა და 4 დამთავრდა ფრედ. თვითეული ეს შეხვედრა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში (იქაც მეოთხედფინალში) გამარჯვება უმნიშვნელო უპირატესობით მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უნგრელებს ბოლო წუთამდე ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა და ისინი ახლა რევანშის წყურვილით აღსავსენი არიან. უნგრეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კ. შოოშმა განაცხადა, რომ მას სრულიადაც არ აწუხებს უარყოფითი ბალანსი სსრ კავშირის გუნდთან. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მისი აღსაზრდელები ღირსეულად იბრძოლებენ ევროპის ჩემპიონატში. სტატისტიკის მოყვარულთათვის შეიძლება დავუმატოთ, რომ სწორედ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს მოუხდათ თავის დროზე გაეხსნათ ევროპის თასი. 1958 წლის ზაფხულის მიწურულში ეს ორი გუნდი ერთმანეთს შეხვდა მოსკოვში, სადაც გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. ეს იყო თასის პირველი მატჩი და საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც ცნობილია, მაშინ საპატიო პრიზი სამშობლოში ჩამოიტანეს. მეორე, 1964 წლის გათამაშებაში, უნგრეთის ნაკრები გავიდა ნახევარფინალში, მაგრამ დამარცხდა ესპანელებთან და დაიკავა III ადგილი.

კიდევ ერთი წყვილი: ბულგარეთი — იტალია. ინგლისში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ პორტუგალიის ნაკრების შანსებს და მით უფრო საპატიოა ბულგარელ ფეხბურთელთა შედეგი, რომლებმაც პირწმინდად მოუგეს ეუსებიოს განთქმულ გუნდს, გამოთიშეს იგი გათამაშებიდან და თვითონ შევიდნენ 8 უძლიერესის რიცხვში.

ასე რომ, იტალიელებს საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავთ. საერთოდ, უნდა ითქვას, იტალიის ნაკრები ომისშემდგომ წლებში ვერაფრით ვერ ჩამოყალიბდა სტაბილურ ძალად. თუ საკლუბო გუნდების შეხვედრებში იტალიურ ფეხბურთს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში, ნაკრების შედეგები გაცილებით უფრო მოკრძალებულია. რეაბილიტაციის აუცილებლობა იტალიის ნაკრებს აიძულებს მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოავლინოს ევროპის ჩემპიონატში.

იუგოსლავია-საფრანგეთის წყვილი ძველ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენს. ფრანგებისთვის ამ ნაცნობობას საკმაო ხნის მანძილზე მხოლოდ უსიამოვნება მოჰქონდა. სამჯერ გამოვიდნენ მინდორზე იუგოსლაველები და ფრანგები 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და მხოლოდ 330-წუთიანი ბრძოლის შემდეგ შეძლო იუგოსლავიამ გამარჯვების მოპოვება. ბოლო 2 მსოფლიო ჩემპიონატში სწორედ იუგოსლავია ეღობებოდა წინ საფრანგეთის ნაკრებს, ხოლო ევროპის თასის პირველ გათამაშებაში, ნახევარფინალურ მატჩში, ფრანგები საკუთარ მინდორზე წინ იყვნენ ანგარიშით 4:2 და გამარჯვება მაინც იუგოსლავიას დარჩა — 5:4.

მხოლოდ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში შეძლო საფრანგეთმა იუგოსლავიის ნაკრების დამარცხება. თუ ამას დავუმატებთ ფრანგების გარკვეულ პროგრესს ბოლო ხანებში, გამარჯვება მათთვის არ უნდა წარმოადგენდეს უტოპიას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ დაახლოებით 2 ათეული საუკეთესო იუგოსლაველი ფეხბურთელი გადავიდა სხვადასხვა ქვეყნის პროფესიულ კლუბებში და ამიტომ იუგოსლავიის ნაკრები ახლა საგრძნობლად შესუსტებულია. თუმცა, ვინ იცის, სწორედ ამ პირობებში დაამარცხეს იუგოსლაველებმა გფრ-ის ძლიერი გუნდი.

ბოლო წყვილის მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველია. 1964 წლის ევროპის თასის მფლობელი — ესპანეთის ნაკრები მეოთხედფინალში მოხვდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩეხოსლოვაკიელებმა თავიანთ მინდორზე დამარცხება იწვნიეს ირლანდიელებთან, თუმცა ისინი წინ იყვნენ ანგარიშში. საბოლოოდ, ესპანელებმა 1 ქულით მეტი აიღეს და მათი მოწინააღმდეგე გამოირკვევა მხოლოდ თებერვალში, როცა გლაზგოში გაიმართება უკანასკნელი შესარჩევი მატჩი: შოტლანდია — ინგლისი. ახლა მსოფლიო ჩემპიონებს 1 ქულით მეტი აქვთ და ფრეც საკმარისი უწყობთ ხელს, მაგრამ ამ ორი გუნდის ძველთაძველი მეტოქეობა უკიდურესად მძაფრ ბრძოლას გვპირდება და შოტლანდიელებს თავიანთ გულშემატკივართა მხარდაჭერით შეუძლიათ წარმატების რეალური იმედი იქონიონ.

ამრიგად, ევროპის თასის მფლობელი მეოთხედფინალში უნდა შეხვდეს ბრიტანული სკოლის ერთ-ერთ წარმომადგენელს და ეს გარემოება საგანგებო მნიშვნელობას აძლევს მომავალ მატჩებს. ვინ გაიმარჯვებს: ბრიტანული რაციონალიზმი თუ იმპროვიზაციით აღსავსე ლათინური სკოლა?

**ა. ვასინი.**
აპს-ი.

• • •

იმ დროს კი, როცა ეს ფოტოა გადაღებული, ბევრი რამ იყო გაურკვეველი. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ჩეხოსლოვაკიელებმა პირველი მატჩი ირლანდიას მოუგეს 2:0. განმეორებით შეხვედრაში ბრიტანელებმა მიაღწიეს რევანშს. ფოტოზე აღბეჭდილია სწორედ ის მომენტი, როცა ირლანდიელმა ო'კონორმა დაასწრო ჩეხოსლოვაკიელების მეკარეს და ნახტომში გადამწყვეტი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.



უნგრელმა ჟურნალისტმა ი. ვარსეგიმ 3 კითხვით მიმართა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს გ. შებეშს, მ. ბუკოვის, ლ. ბაროტისა და რ. ილოვსკის:

1. რას ფიქრობთ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე?

2. რა სასიამოვნო თუ უსიამოვნო მოგონებები დაგრჩათ იმ დროიდან, როცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყავით?

3. რას გააკეთებდით, ახლა რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდეთ?

### გუსტავ შებეში

1. ეს მეტად მძიმე თანამდებობაა, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც თითქმის ყველა ფეხბურთის გულშემატკივარია. როგორ გინდათ გამონახოთ საერთო ენა მილიონობით გულშემატკივართან?

2. ასამდე შესანიშნავი მატჩი ვითამაშეთ. იტალიელებს მოვუგეთ 28 წლის მარცხიანი მატჩების შემდეგ, ინგლისელები დავამარცხეთ ლონდონში 6:3, 4 წლის მანძილზე არ წაგვეგია არც ერთი მატჩი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი საშინელი მარცხიც მახსოვს. ეს იყო მსოფლიოს V ჩემპიონატის ფინალური მატჩის წაგება გფრ-ის გუნდთან.

3. „მფრინავი მწვრთნელი“ გავხდებოდი, რათა უნგრეთის ყველა კუთხეში ახალი ტალანტები მეძებნა. ახალ ტაქტიკაზე ვიმუშავებდი. თანამედროვე ტაქტიკას უნდა შევუფარდოთ თამაში 5 თავდამსხმელით.

### მარტონ ბუკოვი

1. ძალიან ძნელი პროფესიაა. ის მწვრთნელიც კი, რომელიც მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ზოგჯერ არ მოსწონთ... თავის ქვეყანაში. ძნელია იყო მწვრთნელი უნგრეთში, სადაც ამდენი კრიტიკოსია, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, შეიძლება კაცი შეეჩვიოს ამას.

2. „დიდი გუნდის“ მწვრთნელი ვიყავი. მახსოვს, ერთი თვის მანძილზე მოვიგეთ მატჩები ბელგრადში, მოსკოვში, პარიზსა და ვენაში. ყველაზე მძიმე დღე ჩემს ცხოვრებაში: 1956 წელს სრულიად მოულოდნელად წავაგეთ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ნორვეგიელებთან.

3. ნაკრების მწვრთნელი რომ ვიყო, თავს მოვუყრიდი ისეთ ფეხბურთელებს, რომელთაც სხვადასხვა ამპლუაში შეუძლიათ გამოსვლა.

### ლაიოშ ბაროტი

1. ნაკრების მწვრთნელის პასუხისმგებლობა პირდაპირ ჯოჯოხეთურია. ყოველი მწვრთნელი იმას აკეთებს, რაც შეუძლია, მაგრამ მათ მხოლოდ პირველ დამარცხებამდე ენდობიან, თანაც უამრავი ვინმე უშლის ხელს. არა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე ოდესმე კიდევ გავხდე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.

2. ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი მატჩი: 1966 წელს ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატში მანამდე უძლეველი ბრაზილიელები დავამარცხეთ. ყველაზე უსიამოვნო — ჩეხოსლოვაკიელებთან დამარცხება ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში.

# ოთხი მწვრთნელის აზრით...

3. უფრო უკეთეს ბედს ვისურვებდი, ვიდრე ნაკრების ხელმძღვანელის პოსტია. მეტს არაფერს გეტყვით, ვინაიდან ამ პოსტზე არასოდეს ვაპირებ მუშაობას.

### რუდოლფ ილოვსკი

1. როდესაც მწვრთნელი საკლუბო გუნდში მუშაობს, მას უთანხმოება მოსდის ამ გუნდის გულშემატკივრებთან შემადგენლობის თაობაზე. ყველა ფეხბურთელს ჰყავს თავისი ქომაგი. თუ მწვრთნელი ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში, მას უკვე მთელი უნგრეთი ჰყავს ოპონენტად. რა ვქნათ, გუნდში მხოლოდ 11 ფეხბურთელის გამოყვანა შეიძლება. მაშინ ისმის საკითხი — რა ვუყოთ დანარჩენ პრეტენდენტებს?

2. მე ძალიან მოხარული ვიყავი, როცა უნგრეთის ნაკრები ევროპაში უძლიერესთა შორის აღიარეს. ყველაზე უსიამოვნოდ მოსაგონარი მატჩი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან წაგებული შეხვედრა ლაიპციგში (0:1).

3. კვლავ ნაკრების მწვრთნელი რომ გავხდე, ანგარიშს არ გავუწევდი კლუბებსა და მათ ვიწრო ინტერესებს. ყველაფერი ნაკრებისთვის!

# ქულათა მაქსიმუმი

კადიევკასა და დნეპროპეტროვსკში გაიმართა სსრ კავშირის „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატის X ტური.

შედეგები ასეთია:

კადიევკა. „სპარტაკი“ (მინსკი)— „დაუგავა“ (რიგა) 3:0, „სპარტაკი“ (ირკუტსკი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 3:2, „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:1.

დნეპროპეტროვსკი. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 3:0, „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ხარკოვი) 3:1, ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 3:1.

სატურნირო ცხრილში კვლავ წაუგებლად ლიდერობს ცსკა (20 ქულა). II ადგილზეა ირკუტსკის „სპარტაკი“ (18), III-IV — მოსკოვის „ლოკომოტივი“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ (17-17), V — მოსკოვის „დინამო“ (16).



[illegible]

ყურქიტა თედოს ჩვენს სოფელში უხუცესად მოჰქონდა თავი. თუ ვინმე ჰკითხავდა, რამდენი წლისა ხარო, შარშანს აქეთ ერთი წლისაო, — მიუგებდა და გაიცინებდა.

ერთხელ მეც ვკითხე. თედომ ჯერ თავისებურად დამიცაცხანა, მერე უცებ მოლბა და დამიყვავა:

—დაჯექი, ბიჭო, შენ. მოდი აგერ! მოდი, ნუ გეშინია.

მივედი.

— გოგია მებორნემ რომ ფალავანი წააქცია, მაშინ კაი თოთხმეტი წლის ბიჭი ვიყავი. შენ ხომ ნასწავლი კაცი ხარ, აბა, მითხარი რამდენის ვიქნები?

— რა ვიცი, ვინ იყო გოგია მებორნე და როდის წააქცია ფალავანი?!

— როდის წააქცია არც მე მახსოვს, მარა რავა იყო, გეტყვი თუ გინდა.

— მითხარი! — ვთქვი და მუხის მორზე ჩამოვჯექი.

— პირველი მაისი გათენდა. ყვირილის პირას, ახლა რომ ჩვენი კოლმეურნეობის ვენახებია, მაშინ მოშვლეპილი მინდორი იყო. დოლი და ლელობურთი სწორედ იქ გაიმართა. ზოგმა ჭიდაობა და ლახტი გააჩაღა. გოგიას ბორანი ნაპირზე მიეყენებინა და ხალხს უცქერდა. პატარა, ჩია კაცი იყო, მაგრამ რიყის ქვას მუშტში დაფშვნიდა, ყველივით გაადენდა წყალს. შინ ნაქსოვი ხამის პერანგისგან ყელ-კისერი მოტყაული ჰქონდა იმ უბედურს... უცებ ყვირილას გაღმა სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ერთს თეთრი ჩოხა-ახალუხი ეცვა და შავ ცხენზე იჯდა... გოგიამ ცხენოსნები გამოიყვანა და ისევ თავის ჯირკზე ჩამოჯდა. ის თეთრჩოხიანი ვეება ვაჟკაცი იყო. იტყოდი, ნეტავი დედაშენსაო. გოგიას მუშტებისოდენა თვალებს მამალი შველივით აბრიალებდა. მოჭიდავეებს გადახედა, მერე გოგიას მიაშვირა ხელი და ერთ-ერთ ამხანაგს სიცილით უთხრა: — ბიჭო, ფირუზ, თუ იმერეთში ყველა ამისთანა ვაჟკაცია, მე აქ გამარჯვება არ მიწერიაო.

— რას იზამ, ყველა ხე ხომ მუხის სიმაღლე ვერ გაიზრდება, — ჩაიბურდღუნა გოგიამ.

— ერთი ამ ფხუკიანს დამიხედეთ! — იწყინა თეთრჩოხიანმა.

— რა დიდ გულზე ხარ, შენც ფალავანი არ წამიქციო! — გადაიხარხარა თეთრჩოხიანის ამხანაგმა.

— ვინაა ფალავანი? ეგ ფალავანი კი არა, უზრდელი ყოფილა ვიღაცაა. — წამოდგა გოგია და წვირიანი პერანგის სახელო დაიმკლავა.

— თბილისის ფალავანია. რას კადრულობ, ქიაყელავ! — შეღრინა ისევ ფალავნის ამხანაგმა.

— თუ ფალავანია, მეჭიდაოს! — მშვიდად მიუგო გოგიამ.

— შენ გეჭიდაო, საკაცეთი გადაშენდა? — გაიცინა ფალავანმა და ფუთიანი მუშტები ცხვირწინ აუთამაშა გოგიას. — შენ ჭიდაობისა რა იცი!

— ჭიდაობას რა უნდა, ჩემო ბიძია, თუ არ ვიცი, წამაქცევ და ის იქნება. ჯერ ვნახოთ...

— მიდი ერთი, აიღე და დაახეთქე ყარფუზივით! — ურჩია ფალავანს ამხანაგმა.

ფალავანმა ჩოხის კალთები აიკეცა და დოინჯი შემოიყარა.

— გოგია ჭიდაობს, გოგია! — ვიყვირე მე და ხალხი მდინარის პირს მოაწყდა. მებორნის ჭიდაობა ჯერ არავის ენახა.

ფალავანი უცებ მოწყდა ადგილს და გოგიასკენ გაექანა, მაგრამ გოგიამ ჩაიჩოქა და ფეხებში ჩაუვარდა ბუმბერაზს... ფალავანი დაიხარა, ფეხებში სწვდა და აიტაცა... გოგიამ ყელზე შემოაჭდო ფეხები... იყვნენ ერთ ხანს ასე. მერე გოგია უცებ მიწაზე გაიშალა. ფალავანი დაიხარა და... თითქოს ამას უცდიდაო, გოგია წამოფრინდა, ქამარში ეცა, შემობრუნდა და ეს მთისოდენა კაცი ზურგზე მოიდო... „მე შენ გიჩვენებ რა ქიაყელაც ვარ!“ — ბურტყუნებდა და მძიმე ტვირთი ყვირილისკენ მიჰქონდა.

— არ გადააგდო, არ გადააგდო! — აყვირდა და ახარხარდა ხალხი...

ფალავანმა ბალახებში მოადინა ზღართანი... გოგია წელში გასწორდა, სახელოები ჩამოუშვა, გაოფლილ შუბლზე გაზინთული ცხვირსახოცი გადაისვა და წაქცეულს დასძახა:

— წყალში გადაგაგდებდი, მაგრამ ბედი შენი, რომ სტუმარი ხარ. არ ვარგა, ბიძია ტრაბახი, არა... თქვა ეს და ისევ თავის დამპალ ჯირკზე ჩამოჯდა... შეიქმნა ყაყანი, ქუდ-ყაბალახების ფრიალი. მივარდნენ შენს გოგიას, აიტაცეს, აზურთავეს ჰაერში...

ფალავანი და მისი ამფსონები სირცხვილნაჭამი მიძუგძუგებდნენ ქუთაისისკენ. თურმე გურია-იმერეთის ფალავნებს საჭიდაოდ ჰყოლოდათ მიწვეული.

— ჰოდა, იმ წელიწადს, ჩემო ბაბუა, კაი თოთხმეტი წლისა ვიყავი... დაამთავრა ამბავი მოხუცმა.

... მე კი მაინც ვერ გავიგე, რამდენი წლის იყო თედო ბაბუა.

პეტრე ლიკლიკაძე.



ეს მოხდა 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენის დროს. სტარტი მისცეს თუ არა, გაწვიმდა, შემდეგ თოვა დაიწყო. ქარიშხალმაც არ დააყოვნა და მძლეოსნები ძლივს მილასლასებდნენ. მაყურებლებმა სტადიონი დატოვეს, მათ მსაჯებმაც მიბაძეს. ირგვლივ სიცარიელე იყო. სამი სპორტსმენი კი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა და რის ვაივაგლახით მიიწევდა ფინიშისკენ. ეს მოწმობდა, რომ დიდი იყო გამარჯვებისადმი ლტოლვა.

დისტანციის გავლას რომ მორჩნენ, პრიზიორებმა კვარცხლბეკს მიაშურეს პირველ ადგილზე გასულმა, რომელმაც დანარჩენებზე შედარებით „იოლად“ გადალახა ყველა წინაღობა, ამჯერად ვერ შეძლო ბოლო წინაღობის გადალახვა — ყველაზე მაღალ საფეხურზე ასვლა. დანარჩენებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს.

თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა... მათი ფინიშთან მისვლის მოწმე სტადიონზე არავინ იყო.

## ღალატი

„ოქროს ბუცის“ თავდამსხმელები გააფთრებით უტევდნენ, მაგრამ „ბეტონის“ მცველებმა მართლაც ბეტონისებური სიმტკიცე გამოიჩინეს და თამაშის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. გუნდები ცალ-ცალკე გასახდელებში განლაგდნენ.

შესვენებისთვის განკუთვნილი თხუთმეტიოდე წუთიდან ხუთი უკვე გავიდა, მაგრამ „ბეტონის“ მწვრთნელი ელენიო ქევრაძე არსად ჩანდა.

— მოწინააღმდეგის მოედანზე ვთამაშობთ, ცუდი არაფერი შეემთხვეს!..— შიშით გაიფიქრა კაპიტანმა და მწვრთნელის მოსაძებნად გარეთ გავიდა.

მოწინააღმდეგის გასახდელს რომ ჩაუარა, ნაცნობი ხმა შემოესმა და თვალი უნებურად ოდნავ ღია კარისკენ გაექცა. შეიხედა და... მოულოდნელობისგან იქვე ჩაიკეცა მუხლმაგარი თავდამსხმელი. „ოქროს ბუცის“ მწვრთნელი კედელს მიყრდნობოდა და პირდაღებული უყურებდა, როგორ გატაცებით „ურჩევდა“ თამაშს ელენიო ქევრაძე არანაკლებ გაოცებულ „ოქროს ბუცის“ ფეხბურთელებს.

— სანამ ჩვენ ვთამაშობდით, კიდევ მოუსწრია გადაკვრა ამ ოჯახქორს. აქამდე გასახდელები მაინც არ ეშლებოდა და მოწინააღმდეგისგანაც გვარჩევდა. აწი რა გვეშველება!.. — თავში შემოიკრა ხელი „ბეტონის“ კაპიტანმა და ლასლასით გაემართა „დაობლებული“ თანაგუნდელებისაკენ.

კახი პატიაშვილი.

[illegible]

2 შილინგის საფასურად

პიტერ კუპერი ისეთი თავგამოდებული გულშემატკივარია ნორვიჩის საფეხბურთო კლუბისა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში იღებავდა თმებს საკლუბო ფერების მიხედვით, ესე იგი, ყვითლად და მწვანედ!

ახლა იგი თავის კულულებს 2 შილინგად აძლევს სხვა თავგამოდებულ გულშემატკივრებს.

წინდახედული

შვედმა მოცურავემ ელიზაბეტ ლიუნგრენმა რადიკალურად გადაჭრა მექსიკაში ოლიმპიური თამაშების წინ „აკლიმატიზაციის საკითხი“. იგი სულ მალე ცოლად გაჰყვება მექსიკელ მილიონერს ვიკი მორისს.



## ახალი სპორტული სარბიელი

ამას წინათ გაჩნდა სპორტის კიდევ ერთი, საკმაოდ ეგზოტიკური საწყლოსნო სახეობა — ჩანჩქერზე ცურვა. ამ შეჯიბრებისთვის სიმამაცისა და მოქნილობის გარდა საჭიროა პატარა ტივი და რეზინის კოსტუმი, როგორსაც ჩვეულებრივ წყალქვეშა ცურვის მოყვარულები და მყვინთავები იცვამენ. სპორტსმენი ხელს ჩაავლებს ტივს, რომელსაც გასაბერი ლეიბის ფორმა აქვს და ქვევით, ჩანჩქერის აქაფებულ ტალღებში მიფრინავს. (იხ. სურათი, რომელიც გფრ-ის ჟურნალ „შტერნში“ გამოქვეყნდა).

სპორტის ამ ახალი სახეობის გამომგონებლები — ფრანგები ამბობენ: „ჩვენი სპორტი ახალბედების საქმე არ არის. გამოუცდელი და სუსტი ჩანჩქერის ტალღებს თავს ველარასოდეს დააღწევს“.

## ჭრელი ამბები

## წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ

დიდი ხანია ინგლისის ფეხბურთის მესვეურები თავს იმტვრევენ თუ როგორ აღკვეთონ სტადიონებზე მაყურებელთა უწესრიგობა, აყალმაყალი და ყურის წამღები ღრიალი. მაგრამ ჯერჯერობით ვერ გამოინახა ეფექტური საშუალება. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ბულგარეთში, თითქოს, უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით. ამას წინათ სოფიაში, ერთ-ერთი მატჩის დაწყების წინ მინდვრის პირას დადგეს მაგიდა, რომელსაც 3 კაცი მიუჯდა. სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, რომ მაგიდას მოსამართლე და მსაჯულები უსხედან და წესრიგის დამრღვევთ აქვე გაასამართლებენო.

ამ ხერხმა გაჭრა: წესრიგი იდეალური იყო როგორც მინდორზე, ისე ტრიბუნებზე.

## ცალთვალა მსაჯი

25 წლის წარმატებითი მოღვაწეობის შემდეგ საიდუმლო გახსნა ფეხბურთის არგენტინელმა მსაჯმა რ. კვიერდამ. თავის გაოცებულ მეგობრებს მან გაუმხილა, ცალი თვალით აბსოლუტურად ვერ ვიხედებიო. კვიერდა ჩინებულ მსაჯად ითვლებოდა, კარგი მსაჯობისთვის ბევრჯერ ჰქონდა მიღებული სიგელები და პრემიები. ერთმა მეგობარმა გადამდგარ მსაჯს ჰკითხა, ცალი თვალით ასე კარგად როგორ მსაჯობდიო. კვიერდამ უპასუხა: „ამ დეფექტის გამო ყოველთვის სხვებზე მეტად ვცდილობდი არაფერი გამომრჩენოდა, ეტყობა, ამან კონცენტრირების უნარი გამიმახვილა“.

## ხელმოცარულთა დამხმარე კლუბი

ნეაპოლში არსებობს მარცხიანი საფეხბურთო კლუბების დამხმარე და გამამხნევებელი საზოგადოება. იგი ხელმოცარულ გუნდებს უგზავნის ნალებს, მარჯნის ძეწკვებს, ზღვის გამომშრალ ვარსკვლავებს და სხვ. ამას წინათ ამ „ფილანტროპიულმა“ საზოგადოებამ ხელმოცარულ „პერუჯიას“ გაუგზავნა ბედნიერების მომტანი „ავგაროზები“. ამის შემდეგ „პერუჯიას“ 3 დაშავებულ ფეხბურთელს კიდევ ერთი, თავდამსხმელი ბალესტრავრიც მიემატა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**წყალბურთი.** საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის დახურული აუზი (ვაკე). **4-9 თებერვალი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ზამთრის ა რ დ ა დ ე გ ე ბ ი ს პრიზზე.** მონაწილეობენ: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ბაქოს, ალმა-ათის, ფრუნზეს, ლვოვის, პერმის, ვოლგოგრადისა და თბილისის გუნდები. დასაწყისი: 4 თებერვალს — 12 ს. და 18 ს. 5-ში — 10 ს. და 18 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** ცენტრალური სპორტსკოლის ტანვარჯიშის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **საქალაქთაშორისო სამატჩო შეხვედრა თბილისი-მოსკოვი.** მონაწილეობენ: მსოფლიოს ჩემპიონი ე. კარპუხინა, ლ. სავინკოვა, ნ. სალაძე და სხვ. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 07342